



ახალი ბანათლები

14 - 20 აპრილი
ფასი 1 ლარი 70 თეთრი

№15 (729) ბაზრის 1998 წლიდან

www.axaliganatleba.ge




14 აპრილი დედაენის დღე

1978 წლის 14 აპრილს, თბილისში, რუსთაველის პროსპექტზე, საბჭოთა ეპოქისთვის უცხო, გრანდიოზულმა სტუდენტურმა საპროტესტო გამოსვლამ ხელი შეუშალა საბჭოთა ხელმძღვანელობას, შეეცვალა საბჭოთა საქართველოს კონსტიტუციის მუხლი სახელმწიფო ენის შესახებ. ქართულ ენას სტატუსი შეუნარჩუნდა და დამოუკიდებელ საქართველოში, ყოველ 14 აპრილს ქართული ენის, დედაენის დღე აღინიშნება.



ქართული ხელნაწერების გამოფენა კიოლნის უნივერსიტეტში



გვერდი 4

ბამოსდაზი - 2016

კელაგოგები მეთოდის საქითხებს ალარ ჩააბარებენ ცვლილება საბნობრივ ტესტებში

გვერდი 2

პროფესიული ბანათლება

სტრატეგიული მნიშვნელობის პროფესიული სასწავლებელი

გვერდი 3

პედაგოგთა დასახეარებლად

აქტიური სწავლების მეთოდები კონსტრუქტივიზმი და ეპრისტიკა

გვერდი 6

კვლევები მეთოდის საკითხებს აღარ ჩააბარებენ ცვლილება საბნობრივ ტესტებში

კვლევების საბნობრივ საბამოცდო ტესტში ცვლილება შევიდა - მიმდინარე წლის ივლისში გამოცდაზე გასული კვლევების მეთოდის საკითხებს, რაც ტესტის, დაახლოებით, 30%-ს შეადგენდა, აღარ ჩააბარებენ. ამ ცვლილების შესახებ გვესაუბრება შეფასებისა და ბამოსდავის ეროვნული ცენტრის ზოგადი უნარების ჯგუფის ხელმძღვანელი სოფო დოლიძე:

- აქამდე არსებული ტესტი ამომწებდა როგორც საბნობრივ, ისე მეთოდის ცოდნას. მეთოდის ცოდნის ნაწილში, სხვადასხვა ტესტში, ცხადია, დავალბათა რაოდენობა განსხვავებული იყო, მაგრამ, მიახლოებით, ეს ნაწილი ყველა ტესტის 30%-ს შეადგენდა. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ახალი სქემის ფარგლებში ასეთი მოდელი შემუშავდა - მივცეთ პედაგოგებს საშუალება, ტრენინგებითა და სხვადასხვა აქტივობებით, აიმაღლონ კვალიფიკაცია და ნულარ შევამოწმებთ მეთოდის ცოდნას ტესტებით. მართალი გითხრათ, ახლა ზუსტად ვერ გეტყვით როგორ შეამოწმებს მასწავლებელთა განვითარების ცენტრი თუ სხვა ინსტიტუტები პედაგოგების ცოდნას მეთოდურ ნაწილში. ამ ეტაპზე ასეთი ვითარება გვაქვს - შევუშინეთ პედაგოგებს და პედაგოგების მსურველებს საგნის ცოდნა და შემდეგ მივცეთ საშუალება, შეიძინონ მეთოდური ცოდნა. მაგალითად, თუ ვარ მათემატიკოსი და არასოდეს მისწავლება სკოლაში, შემოძლია უნივერსიტეტში გავიარო 60-კრედიტიანი სპეციალური პროგრამა, სადაც მასწავლიან, როგორ უნდა ვასწავლო. ამის საფუძველზე შევძლებ შემდეგ ჩემი საქმიანობის განხორციელებას, ვიმუშავებ მასწავლებლად. მოქმედ მასწავლებლებს, წესით და რიგით, უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა, სხვადასხვა აქტივობით და ტრენინგ-პროგრამებით, გაიღრმავონ ცოდნა მეთოდურ ნაწილში. პროფესიული განვითარების სქემა ცნორედ ამას ითვალისწინებს - პედაგოგმა კვალიფიკაცია აიმაღლოს მრავალფეროვანი აქტივობების საფუძველზე, წლების განმავლობაში, სხვადასხვა საფეხურზე გადანაცვლებით. ტესტი ერთნაირი იქნება როგორც მოქმედი მასწავლებლებისთვის, ისე მასწავლებლობის მსურველებისთვის.

- მასწავლებლების ნაწილი, მათ შორის, ისინი, ვინც ჩააბარა საგნის გამოცდა, ამბობს, რომ ტესტი რთულია. მაგალითად, დაწყებითი საფეხურის მათემატიკის მასწავლებლებს განსაკუთრებით გაუჭირდათ ის ნაწილი, რომელიც ესეს წერას მოითხოვს. მათ მიაჩნიათ, რომ ამის ცოდნა ცუდი არ არის, თუმცა, არც აუცილებელია, რადგან პრაქტიკაში მისი გამოყენება არ უწევთ. თქვენი აზრით, რატომ უნდა ჩააბარონ მათ ესე?

- დაწყებითი საგნის მასწავლებლები აბარებენ საბნობრივ ცოდნას მათემატიკაში, რაც 9 კლასის მათემატიკის ცოდნას არ სცილდება, პლუს აკადემიური უნარების ნაწილი, რომელიც შედის ესე. თუმცა, ეს არ არის მეთოდისა და შესაბამისად, არ იქნება ამოღებული. ეს უნარების ნაწილია, რომელიც პედაგოგმა უნდა იცოდეს იმისთვის, რომ შეძლოს პირველკლასელთან ურთიერთობა, ასწავლოს მცირე ტექსტის შექმნა და ნაკითხვა. ამას ასწავლიან როგორც მათემატიკის, ისე ქართულისა და სხვა საგნის მასწავლებლები. იმისთვის, რომ ბავშვს ვასწავლოთ, პირველ რიგში, ჩვენ თვითონ უნდა ვიყოთ კომპეტენტურები და შეგვეძლოს ამის კეთება. ამიტომ არის მოცემული აკადემიური უნარების ნაწილი ნაკითხვის გააზრება და თხზულების კომპონენტები, ანალიტიკური წერის კომპონენტები. ეს კომპონენტები ტესტში დარჩება, რადგან ეს, კიდევ გავიმეორებ, არ არის მეთოდისა, ეს არის ჩემი უნარი მივიღო ახალი ცოდნა და ინფორმაცია, გამოვთქვა აზრი მწყობრად, ლოგიკურად და გამართულად. პრინციპში, ეს მნიშვნელოვანია სწავლების ყველა ეტაპზე, განსაკუთრებით - დაწყებით საფეხურზე, რადგან სწორედ დაწყებითი კლასების მასწავლებელმა უნდა განუვითაროს მოსწავლეს ეს უნარი. შესაბამისად, ჩვენ დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ ეს უნარები



მათ თვითონ კარგად აქვთ განვითარებული.

- შემცირდება თუ არა მეთოდის ამოღების ხარჯზე საბამოცდო ტესტის მოცულობა?

- ის, რომ ტესტში მეთოდის ნაწილი აღარ იქნება, არ ნიშნავს, რომ ტესტი ავტომატურად 30%-ით შემცირდება. ის, ნაწილობრივ მაინც, საბნობრივი ცოდნის კომპონენტებით შეივსება. მაგალითად, დაწყებითი საგნის მასწავლებლების შემთხვევაში, 100-ქულიანი ტესტი I-IV კლასების მასწავლებლებისათვის 80-ქულიანი გახდება; მათემატიკის, ქართულის და ბუნებისმეტყველების მასწავლებლების 80-ქულიანი ტესტები - 65-ქულიანი. როგორც ხედავთ, 30%-ზე ნაკლებით შემცირდება და დარჩენილი ნაწილი საბნობრივი კომპონენტებით შეივსება.

ესაუბრა ლალი ჯვალაძე

პროფესიული განათლება

წარმატებული თანამშრომლობა კერძო სექტორთან

საზოგადოებრივ კოლეჯ „სპექტრსა“ და რუსთავის საერთაშორისო ავტოდრომს შორის გაფორმდა თანამშრომლობის მემორანდუმი, რომელიც მიზნად ისახავს პროფესიულ სტუდენტთა კვალიფიკაციის ამაღლებას მათი მომზადების, გადამზადებისა და შემდგომი დასაქმების კუთხით.

ერთობლივი ძალისხმევით, მხარეები უზრუნველყოფენ კოლეჯის მიერ მომზადებული სპეციალისტების - საავალიანოს ტექნიკოსის, ძრავის შემკეთებლისა და ავტომობილის ზეინკლის - სასწავლო და საწარმოო პრაქტიკის გავლას, მეცადინეობების ჩატარებას შესაბამის გარემოში, სადაც და-

ცული იქნება უსაფრთხოების ყველა ნორმა.

კომპანია ხელს შეუწყობს მეცადინეობების პროცესის ეფექტურობას. ამ მიზნით, სასწავლო-საწარმოო პრაქტიკული მეცადინეობების პროცესში, კოლეჯის პროფესიულ სტუდენტებს შესაძლებლობა ექნებათ, ისარგებლონ კომპანიის განკარგულებაში არსებული ტექნიკური საშუალებებით (რესურსით). ასევე, კომპანია, კოლეჯის ადმინისტრაციასთან ერთად, შეარჩევს საუკეთესო კურსდამთავრებულებს მათი შემდგომი დასაქმების მიზნით.

კოლეჯის „სპექტრი“ წარმატებული კოოპერატიული თანამშრომლობა კერძო სექტორთან და შრომის ბაზრის მოთხოვნების კარგი ცოდნა კერძო სექტორის ბევრ წარმომადგენელს უჩინს მოტივაციას, აქტიურად ჩაერთონ პროფესიული განათლების განვითარებაში და შესაბამისად, თავიანთი კომპანიებიც უზრუნველყონ კვალიფიციური კადრებით.

თამარ სანიკიძე, განათლებისა და მეცნიერების მინისტრი: „ხაზგასმით მინდა აღვნიშნო „სპექტრის“ ინიციატივა და თანამშრომლობა კერძო სექტორთან. ეს ნამდვილად მნიშვნელოვანი ნივთიერებაა ნაბიჯია. კოლეჯს უკვე აქვს სამუშაო ურთიერთობა ასზე მეტ საწარმოსთან, პროცესში ჩართულია როგორც მსხვილი, ისე მცირე და საშუალო ზომის ბიზნესები. ძალიან მნიშვნელოვანია ეს ეტაპი, იმიტომ რომ, გადავადვივართ რეფორმის უმნიშვნელოვანეს ეტაპზე, სადაც კერძო სექტორი სრულფასოვნად უნდა იყოს ჩართული ამ პროცესებში.

დღეს კოლეჯმა „სპექტრი“ ხელი მოაწერა მემორანდუმს რუსთავის საერთაშორისო ავტოდრომთან, რაც იმას ნიშნავს, რომ კერძო სექტორთან მათ თანამშრომლობას კიდევ ერთი ბიზნესი შეემატა, სადაც სტუდენტები შეძლებენ საწარმოო პრაქტიკის გავლას, შესაბამისად, დასაქმების დიდი შანსი ექნებათ.

ზოგადად, ამ კოლეჯის კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლებს თუ გადავხედავთ, 2012 წელს, საშუალოდ, იყო 35-50%, დღეს უკვე 65-80%-მდე ავიდა. ჩვენ დაინტერესებულნი ვართ, რომ რეფორმის განხორციელებისთვის ხელშემწყობი გარემო შეიქმნას, ამაზე ყველანი ერთად ვმუშაობთ, რაც იმედს გვაძლევს, რომ დასახული მიზნის მიღწევა ნამდვილად შესაძლებელი იქნება.“

ლელა კალანდია, რუსთავის საერთაშორისო ავტოდრომის დირექტორი: „დღეს ჩვენ გავაფორმეთ მემორანდუმი საზოგადოებრივ კოლეჯ „სპექტრთან“, რომელიც შესაძლებლობას მოგვცემს, გადავამზადოთ ისეთი პროფესიული ჯგუფები, როგორცაა: ავტომექანიკოსები, ძრავის შემკეთებლები და სხვ. ისინი პრაქტიკას გაივლიან რუსთავის საერთაშორისო ავტოდრომზე, სადაც მიმდინარეობს სარბოლო ავტომობილების გადაკეთება, შექმნა და ა.შ. ამდენად, ეს უნიკალური შესაძლებლობაა, ანალოგიური არ არსებობს კავკასიაში. იმედი მაქვს, ჩვენი სტუდენტები ძალიან მაღალი დონის პროფესიულ განათლებას მიიღებენ.“



პროფესიული განათლება

სტრატეგიული მნიშვნელობის პროფესიული სასწავლებელი

მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ნინამძღვრიანთკარში რეგიონში ერთადერთი პროფესიული სასწავლებლის სრული რეაბილიტაციის პროცესი სრულდება...

რუსეთის დროს, მთელ ქვეყანაში, ეს ერთადერთი სასწავლებელი იყო, რომლის კედლებში სწავლა ქართულ ენაზე მიმდინარეობდა...

თეიმურაზ ასათიანი, ილია ნინამძღვრიშვილის სახელობის საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორი: „მიხეილ ჯავახიშვილი, თავის მოგონებებში წერს, რომ არა ეს სასწავლებელი, მე ქართული ენა არ მეცოდინებოდაო...

სასწავლებლის შენობის გარდა, 55 ჰექტარზე გადაჭიმულ ტერიტორიაზე არაერთი ძეგლი თუ ისტორიული ადგილია, მათ შორის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია, რომელიც, მაშინდელი სტანდარტით, სკოლის შემადგენელი ნაწილი უნდა ყოფილიყო...

გოჩა ზიციძე, მცხეთა-მთიანეთის გუბერნატორი: „ამ სასწავლებლის გახსნა, იმთავითვე, ისტორიული ნაბიჯი იყო - აქ მომზადებულმა კადრებმა გამოაცოცხლა მაშინ სოფლის მეურნეობა...“

დღეს უძველესი ქართული სასწავლებლის ცხოვრების ახალი ფურცელი იწყება. განათლების სამინისტრო აქ, ძველი პროფილით, ახალი პროფესიული სასწავლებლის გახსნას გეგმავს...

თამარ სანიკიძე: „ამ სასწავლებელში ისეთი მიმართულებებია, რომ მეცადინეობას

შეიძლება მთელი დღე დასჭირდეს, განსაკუთრებით, როცა საქმე სავსე სამუშაოების წარმოებას ეხება...“

სასწავლებლის დაარსებისთანავე შექმნილა სასწავლებლის მარანი, რომელსაც ასევე ჩაუტარდება რეაბილიტაცია...

ერთ-ერთი უდავოდ გამორჩეული ექსპონატი ფრანგული წარმოების ღვინის საწურის იქნება, რომელიც თავად ილია ნინამძღვრიშვილმა ჩამოიტანა...

თორნიკე ციციანიშვილი, ნინამძღვრიანთკარის მცხოვრები: „როდესაც სოფელში ასეთი შენობაა, ბუნებრივია, დაგაინტერესებს...“

ილია ნინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის სრული რეაბილიტაცია ორ წელზეა გათვლილი, ამისთვის ორი მილიონი ლარია გამოყოფილი...

უახლოეს მომავალში, ნინამძღვრიანთკარში რეაბილიტაცია დასრულდება და დაიწყება აღჭურვილი სამუშაოები...

„ადამიანი, პირველ რიგში, უნდა იყოს მამულიშვილი და სხვებზე უნდა ზრუნავდეს...“

ნერდა ილია ნინამძღვრიშვილი საუკუნუნახევრის წინ. ეს სიტყვები ზედმიწევნით გადმოსცემს მისი ცხოვრებისა და შემოქმედების ძირითად აზრს...

სტრატეგიული მნიშვნელობის პროფესიული სასწავლებლის რეაბილიტაცია მიმდინარეობს. Includes images of the building and construction workers, and text: მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ნინამძღვრიანთკარში...

VII-XII კლასების გათვალისწინებული მასწავლებელთა საყურადღებოდ! საგანგებო სახელმძღვანელო ცენტრი CIIC მთავაზობს საბოლოო სოციალურ დასაქმებულ ტრენინგს... E-mail: info@ciic.ge ტელ.: 577455047; 577281182

ინფორმაცია სკოლების მოვლა-პატრონობის პროექტი ხორციელდება. ათასწლეულის გამოწვევის ფონდის ორგანიზებით, სკოლების მოვლა-პატრონობის (O&M) პროგრამის მიმდინარეობის შესახებ შეხვედრა-პრეზენტაცია გაიმართა... www.mes.gov.ge

შეცდომის განხორციელება 31 მარტი-6 აპრილის ნომერში გამოქვეყნებული წერილის «НЕИЗВЕСТНОЕ ОБ ИЗВЕСТНОМ» ავტორია მირაზ ზოსიძე, მუშაობის რაიონის ნაბიჯის საჯარო სკოლის რუსული ენისა და ლიტერატურის უფროსი მასწავლებელი...

ქართული სტუდენტები უსსოთში

ქართული ხელნაწერების გამოფენა კიოლნის უნივერსიტეტში

გერმანიაში, კიოლნის საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკაში, ამავე უნივერსიტეტის ბაზაზე არსებული ქართველ სტუდენტთა გაერთიანება „აისის“ და მისი ხელმძღვანელის ნინო ბურდილაძის ინიციატივით, ქართველ კალიგრაფთა გამოფენა გაიხსნა. გამოფენაზე წარმოდგენილია თანამედროვე ახალგაზრდა ქართველი კალიგრაფების, უფრო ზუსტად კი რუსთაველი კალიგრაფების – დავით მაისურაძის, გიორგი გორგიაშვილის, ნიკა ლუნაშვილის, ვაჟა ერემეიშვილის ხელნაწერები. ექსპოზიციამ შევიდა როგორც ტრადიციული ქართული კალიგრაფიის ნიმუშები – მხედრული, ასომთავრული, ნუსხური, ასევე თანამედროვე ვარიანტები, ახლებური მიდგომა და ტექნიკა. ნიმუშებს დართული აქვს მცირე ინფორმაცია, რაც დამთვალიერებელს საშუალებას აძლევს, გაეცნოს ქართული დამწერლობის წარმოშობის, განვითარების ისტორიას და თანამედროვეობას.

ნინო ბურდილაძე, კიოლნის უნივერსიტეტის დოქტორანტი: „მოგესხებათ, ქართული ანბანი უნიკალური და ერთ-ერთი უძველესია მსოფლიო დამწერლობათა შორის. მართალია, მეცნიერები ქართული ანბანის შექმნას ვადასტურებენ ადრეული პერიოდში ვარაუდობენ, მაგრამ პირველი ძეგლი, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია, როგორც ვიცით, მეხუთე საუკუნით თარიღდება. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის, რომ ამ დროიდან მოყოლებული ქართული დამწერლობა უწყვეტად გამოიყენებოდა ტექსტების ჩასაწერად. ქართულმა ასოებმა განვითარების სხვადასხვა საფეხური განვლეს, მათი მოყვანილობა იცვლებოდა, ნაწილობრივ – მკვეთრადაც. ამგვარად მივიღეთ ქართული დამწერლობის სამი ისტორიული სახე, რომლებიც სხვადასხვა ეტაპზე გამოიყენებოდა და განსხვავებული დანიშნულებაც ჰქონდა. ესენია: ასომთავრული, ნუსხური და მხედრული.“

დამწერლობის ასეთი ადრეული პერიოდიდან არსებობა ქართული საზოგადოების კულტურულ განვითარებაზე მეტყველებს და მიუთითებს, რომ ქართველები ოდითგანვე მიისწრაფოდნენ ნაწახისა და განცდილის წერილობით გადმოცემისკენ. შესაბამისად, ქართული კალიგრაფიაც მრავალსაუკუნოვანი ისტორიის ითვისებს. საქართველოს ეკლესია-მონასტრებში ინერებოდა მრავალი ნიგანი. ასეთი ხელნაწერები ადრეულ საუკუნეებშივე იქცა ქართული კულტურული მემკვიდრეობის მონაპოვრად. როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ არსებულ ქართულ კულტურულ კერებში (პალესტინაში, ათონის მთაზე და სხვ.) სწავლული ბერები, ნიგნების გადწერისას, რუდუნებით ეკიდებოდნენ ცალკეულ ასოს გამოსახულებას, თითოეულ ორნამენტსა თუ დეკორაციას და განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდნენ ამ გამორჩეულ ანბანს.

ქართველ სტუდენტთა გაერთიანება „აისის“, რომელიც გერმანიის ქალაქ კიოლნის უნივერსიტეტის ბაზაზე არსებობს და, ქართული სტუდენტების მხარდაჭერასთან ერთად, ქართული კულტურის ევროპული საზოგადოებისთვის გაცნობას ისახავს მიზნად,

ხელიდან არ გაუშვა შესაძლებლობა, მოეწყო ქართულ ხელნაწერთა გამოფენა. კიოლნის საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკა დიდი სიხარულით დაგვთანხმდა საგამოფენო ფართის გამოყოფაზე და აი, მიმდინარე წლის იანვრიდან ქართული ნამუშევრები გერმანიის ამ ერთ-ერთი უდიდესი და უძველესი (დაფუძნებულია 1388 წელს) უნივერსიტეტის სივრცეს ამშვენებს.

გამოფენის გახსნამ დიდი ინტერესი გამოიწვია სტუმრებში. საღამოს დაესწრნენ გერმანელი, უკრაინელი, იტალიელი, ხორვატი, არაბი, რუსი, ნიკარაგუელი, აზერბაიჯანელი და სხვა მრავალი ეროვნების წარმომადგენლები. ასეთი უცხო მოყვანილობის ასოების ნახვამ მათ უმეტესობაში დიდი ინტერესი და გაკვირვებაც კი აღძრა. დიდმა ნაწილმა არც კი იცოდა, რომ ქართულ ენას საკუთარი დამწერლობა აქვს. მოდიოდნენ ჩვენთან აღფრთოვანებულები და გაცემულები, დამატებით ინფორმაციას ითხოვდნენ საქართველოსა და ქართულ ენაზე. რამდენიმე ქართული ენის შესწავლის სურვილიც კი გამოთქვა, რასაც ჩვენ დიდი სიხარულით დავთანხმდით. ახალგაზრდა ქართველი ხელოვნები არ მოერიდნენ სირთულეებს და სცადეს, მხატვრულად გამოეხატათ ტექსტები არა მხოლოდ მშობლიურ ენაზე, არამედ სპარსულად და ბერძნულად. ამით კიდევ ერთხელ გაეცა ხაზი, მსოფლიო კულტურათა ურთიერთკავშირს და ამავე დროს – ინდივიდუალობას. ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში, ყოველდღიურად, ძალიან ბევრი სტუდენტი, პრეფესორ-მასწავლებელი თუ უბრალოდ ბიბლიოთეკის სტუმარი იყრის თავს. მოხარულები ვართ, რომ ასეთი დიდი აუდიტორია მოიცვა ამ ღონისძიებამ.

თითქმის საუკუნოვანი პაუზის შემდეგ, ჩვენს ტექნოლოგიებით გაჯერებულ საზოგადოებაში, უფრო და უფრო მეტი ახალგაზრდა ინტერესდება ხელნაწერებზე მუშაობის ამ ძველისძველი მიმართულებით, რაც ძალიან გასახარია, რადგან ბაღებს შეგრძნებას, თითქოს ძველ მშვენიერებას სული შთაებერა.“

დავით მაისურაძე, ქართველი კალიგრაფი, სამართლის მაგისტრი (კიოლნის უნივერსიტეტი): „ქართული კალიგრაფიით ბავშვობიდან დავერტყინე, ყოველთვის ლამაზად ვწერდი, ძალიან მიზიდავდა ძველი ქართული ანბანი, ზოგადად წერის, დამწერლობის კულტურა. ჯერ კიდევ მოსწავლეობის პერიოდში, ჩემი დიდი ინტერესის გამო, „შემომესწავლა“ ქართული ასომთავრული და ნუსხური, ასევე ლათინური, ბერძნული, კირილიცა, ებრაული, არაბული, სირიული, სომხური, იაპონური და ინდური დამწერლობები.“

ეს ყველაფერი ჰობის დონეზე დარჩებოდა, რომ არა ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მიერ, 2010 წელს, გამოცხადებული კონკურსი „ქართული კალიგრაფია“. ეს იყო ქართული კალიგრაფიის პირველი კონკურსი. მე მაშინ XI კლასის მოსწავლე ვიყავი, კონკურსში მონაწილეობა მივიღე და პირველი ადგილი დავიკავე. მახსოვს, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მამინდელმა დირექტორმა, ბატონმა ბუბა კუდავამ ჩემი, შუა საუკუნეების მსგავსი კალიგრაფიის გამო, „XVI საუკუნის



გადამწერის რეინკარნაცია“ მიწოდა. 2012 წელს, ამავე კონკურსში, უკვე სტუდენტთა კატეგორიაში, მეორედაც გავიმარჯვე.

ხელნაწერთა ეროვნულმა ცენტრმა კონკურსში მონაწილე ახალგაზრდებს დიდი გასაქანი მოგვცა. ბუბა კუდავას დამსახურებით, ჩვენთვის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის უდიდესი რესურსები უფასოდ ღია და ხელმისაწვდომი იყო. ვგულისხმობ არა მხოლოდ ხელით შესრულებულ ულამაზეს, უძველეს ქართულ ხელნაწერებს, რომლებიც ჩვენთვის შთაგონების წყაროდ იქცა, არამედ ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის თანამშრომლებს, რომლებთან ურთიერთობაც გამოცდილებას და თეორიულ ცოდნასაც გვაძლევდა. მაგალითად, ხელოვნებათმცოდნე ქალბატონ ელენე მაჭავარიანის რჩევები ყოველთვის გვეხმარებოდა; განსაკუთრებით მინდა გამოვყო ნესტან ბაგაური, რომელიც, ერთი მხრივ, უანგაროდ გვიწვედა პოპულარიზაციას ჩვენ და ჩვენს ნამუშევრებს, მეორე მხრივ ყოველთვის გვეხმარებოდა სხვადასხვა პროექტებში, გამოფენებში მონაწილეობისას, რაც დღესაც გრძელდება. კონკურსში გამარჯვებამ საკმაოდ ამბიციური გადაწყვეტილება მიმალბინა – რუსთაველი (სადაც ვცხოვრობ) და მერაბიანი პირველი „კალიგრაფიის სკოლა“ სტუდია“ და რუსთაველი კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრის „მთაწმიდელი“ ბაზაზე დავაარსე კიდევ (ცენტრი მოიცავს დამოუკიდებელ სტუდენტებს ხელოვნების სხვადასხვა მიმართულებით – ფერწერა, მუსიკა, მინანქარი... მათ შორისაა ჩემი სკოლა). ეს მართლაც ამბიციური ნაბიჯი იყო, იმიტომ რომ, ჯერ ერთი, ძალიან პატარა ვიყავი – 17 წლის, გარდა ამისა, არც სპეციალური განათლება მქონდა, არც პედაგოგობის გამოცდილება და არც რაიმე სახელმძღვანელო არსებობდა, როგორც ჩამეტარებინა კალიგრაფიის გაკვეთილები. სი-

მართლე ვითხრათ, პირველ წლებში ძალიან გამიჭირდა, მაგრამ მერე და მერე იმდენად აველე ალღო, რომ ახლა ამ საქმის გარეშე ცხოვრება ვერ წარმომიდგენია. ჩემი და მამაჩემის – ნუგზარ მაისურაძის ინიციატივით, რუსთაველი დავიწყეთ ყოველწლიური „საქალაქო კალიგრაფიის კონკურსების“ ჩატარება. მოსწავლეთა რაოდენობა ყოველ წელს მატულობს, რაც ძალზე მახარებს. წელს, პირველად გავცდით რუსთაველი ფარგლებს და მთელ ქვემო ქართლში ვატარებთ კონკურსს. განსაკუთრებით მახარებს კონკურსში არაქართულენოვანი მოსწავლეების აქტიურობა.

უნდა აღვნიშნო, რომ რუსთაველი ადგილობრივმა კონკურსმა და კალიგრაფიის გაკვეთილებმა ძალიან კარგი შედეგი გამოიღო. შემთხვევითი ნამდვილად არაა, რომ 2010 წლიდან მოყოლებული, ყოველწლიურად, საქართველოს მასშტაბით ჩატარებულ კალიგრაფიის კონკურსებში ყოველთვის ლიდერობდნენ რუსთაველები. ბოლოს გამართულ კონკურსში, მოსწავლეთა კატეგორიაში, შვიდი ფინალისტიდან ექვსი რუსთაველი იყო, აქედან ხუთი კი – ჩემი მოსწავლე და გამარჯვებულიც, ასევე, ჩემი მოსწავლე აღმოჩნდა, რაც ძალიან, ძალიან მეამაყება. თუმცა, ისიც უნდა ვთქვა, რომ ეს მთლად ჩემი დამსახურებაც არაა, უბრალოდ, ჩემი თანაქალაქელები ძალიან მონდომებულები არიან, დაეუფლონ დეკორატიულად წერის ხელოვნებას.

რაც შეეხება გამოფენებს, მე და ჩემს მეგობრებს, საქართველოში არაერთ გამოფენაში გვაქვს მიღებული მონაწილეობა. როგორც წესი, ერთობლივ გამოფენებს ვაკეთებთ ხოლმე. გასულ წელს, უშუალოდ ჩვენი, ქართველი კალიგრაფების გამოფენა მოეწყო ევგვიტეში, კაიროში, მანამდე ასევე ევგვიტეში, ალექსანდრიის ბიბლიოთეკაში გამოიფინა რამდენიმე ნამუშევარი. ბოლო დროს ვაბიტაცა შრიფტ-



ქართული სტუდენტები უსსოთში

ბის შექმნამ. კალიგრაფიულ შრიფტებს ვეძინი ჩემი დიზაინით. ვფიქრობ, კარგი საქმეა - ქართული ფონტები ამ მხრივ საკმაოდ ღარიბია. კალიგრაფიის ერთ-ერთი პრაქტიკული დატვირთვა სწორედ ის უნდა იყოს, რომ ყველამ შეძლოს ლამაზი კალიგრაფიით ციფრულ სამყაროშიც აკრიფოს ტექსტი... ყველაზე მნიშვნელოვანი პროექტი, რაც ამ მხრივ მქონია, არის საზოგადო მოღვაწეთა შრიფტები, რომელიც ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრთან ერთად გააკეთეთ. ამ პროექტის ფარგლებში, 10 ქართველი საზოგადო მოღვაწის ხელნაწერის მიხედვით, ქართული ფონტები შევქმენით. დღეისათვის სხვადასხვა დიზაინერი ნარმატებით იყენებს საზოგადო მოღვაწეთა შრიფტებს. ჩემ მიერ შექმნილი ივანე ჯავახიშვილის შრიფტის დიზაინი უკვე გამოყენებულია ერთ-ერთი დიზაინერის მიერ შექმნილ სამოსში.

პროფესიით იურისტი ვარ. ვინც კალიგრაფიად მიცნობს, როგორც წესი, უკვირთ ხოლმე ჩემი იურისტობა, რატომღაც ერთად ვერ ათავსებენ ამ ორ პროფესიას. თუმცა, ბევრ იურისტს ვიცნობ, ხელოვნება ძალიან რომ უყვარს და თვითონაც ხელოვნაია. ჩემს როლზე პროფესიას ხელოვნება აბალანსებს.

გერმანიაში, კიოლნი ვსწავლობდი მაგისტრატურაში, სამართლის მიმართულე-

ბით; ჩემი სამაგისტრო ნაშრომი იყო საჯარო სამართლის სფეროდან, არანაირი შეხება კალიგრაფიასთან. სხვა ქართველ სტუდენტებთან ერთად, გერმანიაში, დაფუძნებული კიოლნის უნივერსიტეტში არსებულ სტუდენტთა გაერთიანება „აისი“ და მის ხელმძღვანელს ნინო ბურდილაძეს. სტუდენტთა გაერთიანება „აისი“ ძალიან აქტიური ორგანიზაციაა, რომელიც საქართველოს და ქართულ კულტურას აცნობს გერმანელებს. ნინოს ინიციატივით მოწყობილ ერთ-ერთ პროექტში მეც შევიტანე ძალიან მცირე წვლილი - ქართული ხალხური სიმღერის საღამოზე ჩემი რამდენიმე კალიგრაფიული ნამუშევრის ასლი გამოფინეთ. სწორედ მაშინ გაუჩნდა ნინოს იდეა, რომ ერთი გამოფენა მთლიანად დათმობოდა კალიგრაფიას, ამჯერად უკვე ორიგინალებს. თავიდან დაგეგმილი იყო მხოლოდ ჩემი ნამუშევრების გამოფენა, მაგრამ შემდეგ, უფრო მრავალფეროვანი რომ ყოფილიყო, ჩემს მეგობრებს, ყოფილ მოსწავლეებს დაუფუკავირდი და მათაც შევთავაზეთ გამოფენაში მონაწილეობა. ჩემი ჩათვლით, სულ, ოთხი რუსთაველი კალიგრაფის ნამუშევრები გამოიფინა.

ვფიქრობ, გერმანელი და არა მხოლოდ გერმანელი (კიოლნი სტუდენტური ქალაქია



და, შესაბამისად, მრავალეროვანი) დამთვალეირებლისათვის გამოფენა მნიშვნელოვანია და საინტერესო, რადგან მათთვის ეს ახალია, ეგზოტიკური და თან ძალიან ლამაზი.

ქართული კულტურის წარმოჩენა ევროპაში კი, რა თქმა უნდა, კარგი საქმეა.“

მოამზადა მანა ყიფინაძე

პროფესიული განათლება

საჯარო-ქერძო პარტნიორობა პროფესიულ განათლებაში

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ორგანიზებითა და ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს (MCA - Georgia) მხარდაჭერით, პროფესიული განათლების რეფორმის ახალი ინიციატივის „საჯარო-ქერძო პარტნიორობა პროფესიულ განათლებაში“ პრეზენტაცია გაიმართა.

ქვეყნის განვითარების ახალ ეტაპზე გადასვლის კონტექსტში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა თამარ სანიკიძემ, დამსწრე საზოგადოებას პროფესიული განათლების თანამედროვე შესაძლებლობები, სახელმწიფო და კერძო სექტორის შორის პარტნიორობის ალტერნატიული მოდელები და მეწარმეობის განვითარების ახალი შესაძლებლობები გაცნო.

აღნიშნული ინიციატივის თანახმად, პროფესიულ განათლებაში გატარდება რეფორმა, რომლის შედეგად შესაძლებელი იქნება საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი, სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების (WORK-BASED LEARNING) მიდგომის დანერგვა, დამსაქმებლის ჩართულობით საგანმანათლებლო პროცესის წარმართვა, საწარმოო პრაქტიკის კომპონენტის გაძლიერება, შრომის ბაზარზე ორიენტირებული პროფესიების გამოვლენა და პროფესიულ კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლის ზრდა.

შეხვედრას ესწრებოდნენ საჯარო და კერძო სექტორის წარმომადგენლები, პროფესიულ განათლებაში ჩართული დაინტერესებული მხარეები, დონორი ორგანიზაციების წარმომადგენლები, საერთაშორისო და ადგილობრივი ექსპერტები.

თამარ სანიკიძე: „დღევანდელ შეხვედრაზე წარმოდგენილია ბიზნესსექტორი და დამსაქმებელი. ძალიან მნიშვნელოვანია მათთან კომუნიკაცია. პროფესიული განათლების რეფორმის ფარგლებში, ჩვენ გადავდივართ უკვე იმ სამუშაო რეჟიმზე მათთან, რომლის შედეგადაც დულური განათლების ელემენტები უნდა მივიღოთ და პრაქტიკულად განვახორციელოთ ჩვენს სისტემაში, რაც შემდგომ უზრუნველყოფს ახალგაზრდების დასაქმებას, კვალიფიკაციის ამაღლებას და, რაც მთავარია, საბოლოო ჯამში, ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას შეუწყობს ხელს. აქედან გამომდინარე, ამ რეფორმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი, მართლაც, კერძო სექტორია, ბიზნესი და დამსაქმებელი, რომელთან ერთადაც უნდა განხორციელდეს საგანმანათლებლო პროცესი.“

დემეტრი ქუშიშვილი, ეკონომიკის მინისტრი: „მთავრობის ოთხპუნქტიან რეფორმებში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სწორედ განათლების რეფორმას, ხოლო განათლების რეფორმის ნაწილში ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება ისეთი პროფესიული განათლებაა, როდესაც, ბაზრის მოთხოვნებიდან გამომდინარე, მივიღებთ ისეთ პროფესიონალებს, რომლებიც, პრაქტიკულად, ჯერ კიდევ სწავლის პროცესში საქმედებიან და სწავლის დასრულების შემდგომ, გარანტირებულად აქვთ სამუშაო.“

დღეს ყველაზე დიდი პრობლემა უმუშევრობაა. ახალი სამუშაო ადგილების შექმნასთან ერთად, საჭიროა პროფესიული კადრების მომზადება როგორც ქალაქებში, ისე რეგიონებში.



ამ თვალსაზრისით, აღნიშნული პროექტი უმნიშვნელოვანესია, ხელს შეუწყობს ამ, ასე ვთქვათ, სიცარიელის ამოვსებას. საჯარო და კერძო პარტნიორობის შემთხვევაში, წარმომის ბაზრის მოთხოვნებისთვის. სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს მათი სათანადო გადამზადება, ასევე, მნიშვნელოვანია მაქსიმალური კომუნიკაცია და ჩართულობა კერძო ბიზნესის მხრიდან. დღევანდელი პრეზენტაცია ამ ეგიდის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სამუშაო შეხვედრაა, რომელიც, ვფიქრობ, კიდევ უფრო მეტ ახალ შესაძლებლობებს მოგვცემს ამ მიმართულებით.“



სასკოლო აქტივობა

იმიტირებული სასამართლო პროცესი

ქუთაისის №35 საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა მაგდა ზარანდიამ, მე-10 კლასის მოსწავლეებთან ერთად, ქუთაისის საქალაქო სასამართლოს დარბაზში, ჩაატარა პროექტ-გაკვეთილი თემაზე „ვარსკენის გასამართლება“.

პროექტის ფარგლებში, სრულად იყო იმიტირებული სასამართლო პროცესი.

თავდაპირველად მოსწავლეებმა მოკლედ მიმოიხილეს ქართლისა და მეზობელი ქვეყნების ურთიერთობა მე-5 საუკუნის მეორე ნახევარში. „ჟურნალისტიკა“ (მოსწავლე – მონიკა ხელაძე) მსმენელს გააცნო იმდროინდელი ქართლის ერისმთავრის, ვარსკენის კარზე დატრიალებული ტრაგედია და დამსწრე საზოგადოებას აუწყა, რომ ქვემო ქართლის პიტიასში მოითხოვს, მოეხსნას ქვეყნის მოლაღატის სტატუსი, რის გამოც მან სასამართლოში შეიტანა სარჩელი.

იმიტირებული სასამართლო პროცესი საინტერესოდ და არგუმენტირებულად წარმართეს როგორც პიტიასში, ასევე დედოფალი შუშანიკის დამცველებმა (ანა გვენეტაძე, ზელა ნუცუბიძე). მათ წარმოადგინეს ნივთმტკიცებულება ვიდეო-

ჩანაწერების სახით (1. „პურობა“, 2. შუშანიკის, ჯოჯიკისა და იაკობ ხუცესის დიალოგი, 3. ვარსკენის შეხვედრა ხუცებთან), რითაც უფრო ნათლად გააცნეს მოსამართლეს (მოსწავლე – ნანა ჩიქვილაძე) არსებული ვითარება.

ასევე საინტერესოდ წარმოჩნდა თითოეული მომხმარებლის იაკობ ხუცესი, ჯოჯიკი, ჯოჯიკის ცოლი, მოგვი ქალი „ერთი ვინმე სპარსი“, ერის წარმომადგენელი, ვარსკენ პიტიასში შვილი. საინტერესო იყო ნაფიცი მსაჯულების დასკვნები. მოსწავლე გოგა ლომინაშვილმა კარგად გაართვა თავი მანდატურის მოვალეობას. აღსანიშნავია მოსამართლის პოზიცია, რომელიც თავისუფალი იყო თავის გადაწყვეტილებაში. მან გამოიტანა შემდეგი განაჩენი: „მხარეების მიერ წარმოდგენილ არგუმენტებზე დაყრდნობითა და ნაფიცი მსაჯულების აზრის გათვალისწინებით, სასამართლომ გამოიტანა განაჩენი: დაეკავშირებინა ბრალმდებლის მოთხოვნა და ვარსკენ პიტიასში მოეხსნას ქვეყნის მოლაღატის სტატუსი. თუმცა, ძალადობისა და რელიგიის უარყოფის გამო, იწოდებოდეს სარწმუნოების მოლაღატედ. გმადლობთ ყურადღებისთვის, სხდომას დახურულად ვაცხადებ!“



ლიტერატურულ სასამართლო პროცესს ესწრებოდნენ: №35 საჯარო სკოლის დირექტორი რუსუდან თავიდაშვილი, დირექტორის მოადგილე სასწავლო დარგში ირინე პიტავა, სკოლის პედაგოგიური კოლექტივი, სხვადასხვა სასწავლო დაწესებულებებიდან მონვეული სტუმრები, მშობლები, რომლებმაც მოსწავლეების მიერ წარმოდგენილი იმიტირებული სასამართლო პროცესი დადებითად შეაფასეს.



პროფესიული განათლება

პროფესიული ორიენტაციისა და კარიერული დაგეგმვის მენეჯერების ტრენინგები

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისა და ათასწლეულის გამონვევის ფონდის თანამშრომლობით, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების პროფესიული ორიენტაციისა და კარიერული დაგეგმვის მენეჯერთა გადამზადება მიმდინარეობს. ტრენინგის მიზანია პროფესიული მასწავლებლების საჭიროებათა ანალიზი და ამ მასწავლებლებისთვის ტრენინგების დაგეგმვა საწარმოებში. ტრენინგს ათასწლეულის გამონვევის საერთაშორისო ტრენინგ ალექსანდერ სიბონი უძღვება.

გადამზადების კურსის დასრულების შემდეგ, მონაწილეებს შეეძლებათ სხვა პროფესიული მასწავლებლების საჭიროებათა გამოვლენა, საწარმოში ტრენინგის დაგეგმვა და ტრენინგის შედეგების შეფასება.

სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების განხორციელებისათვის, ასევე დუალური განათლების წარმატებით დანერგვისთვის, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებლების კომპეტენციების განვითარება მოხდეს ორი მიმართულებით: პედაგოგიური და პროფესიული განვითარების ღონისძიებებით.

სასწავლო პრაქტიკის დროს სტუდენტები გადიან პრაქტიკულ სწავლებას საწარმოებში, შესაბამისად, აუცილებელია, რომ მასწავლებლებს ჰქონდეს ინფორმაცია და წვდომა საწარმოებში არსებული უახლესი ტექნოლოგიების შესახებ და კარგად იცნობდეს საწარმოების შიდა სტრუქტურასა და სამუშაო-

ს მიმდინარეობებს. საწარმოში, ტრენინგების დროს, მასწავლებლებს საშუალება ექნებათ, გაიღრმავონ პროფესიული ცოდნა და განვითარონ პროფესიული უნარები. სასწავლებლების ბაზაზე მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება ხელს შეუწყობს თავად სასწავლებლების შიდა განვითარებას და სასწავლებლებსა და საწარმოებს შორის ურთიერთთანამშრომლობის გაღრმავებას.

დევიდ ჰენდლი, ათასწლეულის გამონვევის კორპორაცია: „ჩვენი კორპორაცია აქტიურად თანამშრომლობს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრთან, მასწავლებელთა კომპეტენციების გაზრდის მიზნით. აუჟამად მიმდინარეობს კარიერის დაგეგმვის მენეჯერების ტრენინგი, რათა დაეხმარებოდეს, სასწავლებლის ბაზაზე, მასწავლებლების აკადემიური საჭიროებები. ამის საფუძველზე, შემდგომში, ჩატარდება ტრენინგები ადგილებზე, საწარმოებში. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ საქართველოში შემოვიდეს და წარმატებით დაინერგოს სამუშაოზე დაფუძნებული სწავლის მოდელი.“

ეს ტრენინგი მნიშვნელოვანია როგორც მასწავლებლების კომპეტენციის კუთხით, ასევე კარიერის დაგეგმვის მენეჯერების კომპეტენციის განვითარებისთვის, რათა მასწავლებლების საჭიროებებზე დაფუძნებით მოხდეს შემდგომ მათი პროფესიული განვითარება. ასევე ვთანამშრომლობთ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან, მოდულური პროგრამების წარმატებით იმპლემენტაციისა და სტუდენტების შეფასების ახალი პროგრამების მიმართულებით.“

ლალი ჩიქვანი, რუსთავის პროფესიული კოლეჯის „მოდული“ პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი: „დეველპმენტი ტრენინგის უშუალო მიზანია, რომ ჩვენ შევძლოთ ჩავატაროთ საჭიროებათა კვლევა პროფესიული მასწავლებლებისთვის, რათა შემდგომ ადგილებზე, საწარმოებში გადამზადდნენ, აიმაღლონ კვალიფიკაცია. განათლების სამინისტრო და ათასწლეულის გამონვევის კორპორაცია მიიჩნევენ, რომ კარიერის დაგეგმვის პროფესიულმა მენეჯერებმა, ამ პროცესში, აქტიური მონაწილეობა უნდა მივიღოთ. ჩვენ მზად ვართ, ჩვენ ხელთ არსებული ცოდნა და გამოცდილება გამოვიყენოთ, საქართველოში პროფესიული განათლების გასაუმჯობესებლად.“



მშობელთა კრება

რთული ბავშვები და ასაკობრივი კრიზისი

„არ შევჭამ“, „არ დავიძინებ“, „მეზარება კბილების გახეხვა“, „მე რატომ უნდა ვიმეცადინო, ხომ ხედავ, ჩემი ძმა/და არაფერს აკეთებს“ – ნაცნობი სიტუაცია? გაგჩენიათ განცდა, რომ თქვენი დამჯერი შვილი ერთ დღეში შეიცვალა? ბავშვი უცბად გახდა ჯიუტი, მომთხოვნი, გაღიზიანებული. რა თქმა უნდა, ცვლილებები ნელ-ნელა იწყება, უბრალოდ ყურადღების გამახვილება უკვე გამწვავებულ პერიოდში ხდება. მსგავს პრობლემას პრაქტიკულად ყველა მშობელი აწყდება. მინდა დაგამშვიდოთ, რომ ასეთი ცვლილებები ნორმალურია და გარკვეულ კანონზომიერებას ემორჩილება. ბავშვი არათანმიმდევრულად ვითარდება. იგი ხან მშვიდ და სტაბილურ პერიოდებს გადის, ხანაც – ე.წ. კრიზისულს.

დაფიქრებულხართ, რამდენი კრიზისული ეტაპის გადალახვა უნევს ადამიანს თავისი ცხოვრების განმავლობაში? ბავშვთა კრიზისულ ასაკს განეკუთვნება:

- პირველი წლის კრიზისი;
- 3 წლის კრიზისი;
- 7 წლის კრიზისი;
- მოზარდობის პერიოდის კრიზისი (12-15 წელი).

პირველი წლის კრიზისი:

ამ პერიოდში იწყებს ბავშვი სიარულს. იზრდება აკრძალული და საშიში ნივთების ნუსხა. უამრავი „არა“ კი პროვოცირებას უკეთებს ბავშვის მძაფრ რეაქციებს, განსაკუთრებით მაშინ, როცა მოზრდილებს არ ესმით მისი სურვილი, სიტყვები და მიმიკა ან არ ასრულებენ მათ.



3 წლის კრიზისი:

ეს არის საკუთარი „მე“-ს გამოყოფის ეტაპი. ვლინდება პირველადი თვითშეფასება. ბავშვი ცდილობს იმოქმედოს სიტყვებით „მე თვითონ“. დაჟინებით ითხოვს რაღაცას, უნდა რომ მის სურვილებს ითვალისწინებდნენ. კრიზისი ყველაზე მძაფრად სოციალურ ურთიერთობებში ჩანს. შეიძლება გამოვლინდეს დესპოტიზმში, ეჭვიანობაში, გაღიზიანებაში. განსაკუთრებით ძლიერია ბავშვის პროტესტი ავტორიტარული აღზრდის დროს. საჭიროა მოთმინება და გამოსავლის მოძებნა. თუ გარშემომყოფები უგებენ ბავშვს და მზად არიან პარტნიორული ურთიერთობებისთვის, მაშინ კონფლიქტი შეიძლება აცილებული იქნას.



7 წლის კრიზისი:

ყოველი კრიზისული პერიოდი – ეს არის განვითარების ახალი ეტაპი, როცა ბავშვს ახალი წარმოდგენები უჩნდება „ზრდასრულობაზე“. ერთი შეხედვით, თითქოს უფრო მეტს კარგავს, ვიდრე იძენს, თუმცა, კრიზისის დამთავრების შემდეგ, მშობელი აღმოაჩენს, რომ მისი შვილი განვითარების ახალ, უფრო მაღალ საფეხურზე ავიდა. შემდეგ იწყება ხანგრძლივი, შესამჩნევად მშვიდი პერიოდი, როცა ბავშვი ახალი უნარ-ჩვევების დაუფლებას სწავლობს. ორგანიზმში მიმდინარე ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური ცვლილებების მიღება ნელ-ნელა ხდება. იმისათვის, რომ ბავშვმა ახალი ნებსები და მოთხოვნები დაიცვას, ჯერ უნდა შეისწავლოს, ხოლო სანამ შეისწავლის, დაარღვიოს კიდევ. მაგალითად, სანამ ვასწავლით, რომ ყოველ დღე სკოლაში მიცემული დავალება უნდა მოამზადოს, პერიოდულად გაჯიუტდება, დაეზარება, ათას მიზეზს მოიგონებს, რომ დრო გაიყვანოს, მერე კი თანდათან მიეჩვევა და მეცადინეობა ყოველდღიურ, აუცილებელ ჩვევად ჩამოუყალიბდება (ეს, რა თქმა უნდა, იმ შემთხვევაში, თუ მშობელი კარგად აკონტროლებს დღის რეჟიმს). გარდა ამისა, უნდა ვიცოდეთ, რომ ბავშვების ქცევა გარემო სიტუაციაზე დამოკიდებულია. ქცევის ნეგატიური სიმპტომები უფრო მეტად ჩვეულ გარემოში იჩენს თავს. ალბათ შეგიძინებიათ, რომ სახლში შესაძლებელი იყოს, სკოლაში კი მასწავლებლის ყველა მითითებას ზედმინებით ასრულებდეს. რა ახასიათებს 7 წლის კრიზისს? ამ პერიოდის ერთ-ერთი მახასიათებელია ე.წ. „პაუზები“. ნებისმიერ თხოვნას, მითითებას, ბრძანებასა და ბავშვის რეაქციას შორის გარკვეული პაუზა ჩნდება. თითქოს ბავშვს არ ესმის, რას ეუბნებიან. გარდა ამისა, ხშირად კამათობს, აპროტესტებს მოთხოვნებს და საკუთარი თავის დასაცავად სხვადასხვა არგუმენტებს ეძებს. ცდილობს, დიდებით მოიქცეს, ისაუბროს. ქცევა, როგორც წესი, მშობლების ქცევის გაშარუებულ ვარიანტს წარმოადგენს. ამ პერიოდში ბავშვები იწყებენ საკუთარ გარეგნობაზე ზედმეტი ყურადღების მიქცევას. ეს უფრო გოგონებს ეტყობათ. მათთვის მთელ ცერემონიადაა იქცევა ხოლმე გარეთ გასვლის წინ ტანსაცმლის შერჩევა.

მოზარდობის კრიზისი (12-15 წელი):

უპირველეს ყოვლისა, უნდა ვიცოდეთ, რომ ზღვარი კრიტიკულ და მშვიდ პერიოდებს შორის არ იგრძნობა. ის ნელ-ნელა შედის განვითარების ფაზაში და მშობლები, როგორც წესი, ცვლილებებს კრიზისის შუაში, პიკისას, გრძობენ. მოზარდს ადვილად შეამჩნევთ სიჯიუტეს, სწავლაში მიღწევის დონისა და შრომისმოყვარეობის დაცემას, ხშირად გარშემომყოფებთან კონფლიქტური სიტუაციები. გასათვალისწინებელია, რომ ბიჭები უფრო რთულად გადაიან ამ პერიოდს. ფსიქოლოგები ამ პერიოდს მოიხსენიებენ, როგორც „სექსობრივი მომწიფების ნეგატიურ ფაზას“. საერთოდ, ნეგატივიზმი ამ პერიოდს ყველაზე მეტად ახასიათებს, არასდროს ისე შორს არ არის ადამიანის „მე“ და გარე სამყარო, როგორც ამ ასაკში. ყველაზე მეტად რაც მოგხვდებათ თვალში, ბავშვი შესაძლებელია სკოლაში ისეთ საგნებშიც კი ჩამორჩეს, რომელშიც ნიჭიერი და წარმატებულია. ეს განსაკუთრებით იგრძნობა შემოქმედებით საქმიანობაში, რადგან ბავშვი ამ დროს მექანიკურ დავალებებს უფრო ადვილად ასრულებს. მიზეზი კი ისაა, რომ მოზარდი განვითარების ახალ საფეხურზე გადადის, როცა კონკრეტულ აზროვნებას ლოგიკური აზროვნება ანაცვლებს. ამას დრო ჭირდება. ბავშვი გაგებასა და დედუქციას სწავლობს. თქვენ შეამჩნევთ, რომ მოზარდი ხშირად აკრიტიკებს სხვის მოსაზრებებს და მათ მისაღებად მტკიცებულებებს ითხოვს. აგრეთვე შეამჩნევთ, რომ თუ მანამდე ხატვა უყვარდა, ახლა უფრო მეტად მუსიკით ინტერესდება (მუსიკა



ხელოვნების ყველაზე აბსტრაქტული ფორმა). აზროვნების განვითარებასთან ერთად, იწყება გაძლიერებული თვითაღქმა, საკუთარ განცდებზე დაკვირვება. ამ პერიოდში მოზარდები ხშირად იწყებენ დღიურების წერას (უმეტესად გოგონები). ხდება შინაგანი სამყაროსა და ობიექტური რეალობის ერთმანეთისგან დაშორება. როგორც აღვნიშნეთ, მოზარდობის კრიზისის ძირითადი მახასიათებელია ნეგატივიზმი (ძალიან ჰგავს 3 წლის კრიზისს). ბავშვი თითქოს სცილდება გარემოს, გაღიზიანებულია, მიდრეკილია ჩხუბისა და დისციპლინის დარღვევისკენ. ამავე დროს, შინაგანად შფოთავს და მარტოობას ესწრაფვის. ნეგატივიზმი ბიჭებთან უფრო თვალშისაცემია, ოღონდ ცოტა უფრო მოგვიანებით იწყება, დაახლოებით 14-15 წლის ასაკში.

ზოგადად ითვლება, რომ კრიზისის ყველა მახასიათებლის გავლა მხოლოდ 20%-ს უნევს. მათ მკვეთრად გამოხატული ნეგატიური ქცევები აქვთ. ეს მდგომარეობა შესაძლებელია რამდენიმე კვირა ან უფრო დიდი პერიოდი გრძელდებოდეს, როცა ბავშვი ამოვარდნილია ოჯახის ცხოვრებიდან, გაღიზიანებულია ან, პირიქით, ჩაქვილია საკუთარ თავში. ბავშვების უმრავლესობა – 60% ე.წ. „პოტენციური ნეგატივისტები“ არიან, ანუ პრობლემები თავს იჩენს მხოლოდ ზოგიერთ სიტუაციაში (მაგ., ოჯახური კონფლიქტების დროს, სკოლის დამთავრებულ გარემოში). დაბოლოს, ქცევის ნეგატიური გამოვლინება საერთოდ არ შეიმჩნევა ბავშვების 20%-ში. ამიტომ, ლოგიკურად გაჩნდა ვარაუდი, რომ ნეგატივიზმი არასწორი პედაგოგიური დამოკიდებულების ბრალია. სწორედ ამიტომ, გვინდა დაგამშვიდოთ და გითხრათ, რომ აუცილებელი არაა თქვენმა შვილმა კრიზისის ყველა საფეხური ზედმინებით ზუსტად გაიაროს და ყველა ის პრობლემა შეეხოს, რაც ჩვენ ჩამოვთვალეთ. ბავშვები კრიზისულ პერიოდებს განსხვავებულად გადაიან და რაც უფრო მეტი სიყვარული, ურთიერთგაგება და სიბოა ოჯახში, მით უფრო მარტივად დასავენ პრობლემებს.


რჩევები მშობლებს:

კრიზისულ პერიოდებს, ბავშვებთან ერთად, მშობლებიც გადაიან. მათაც არანაკლებ უჭირთ, რადგან აღზრდის პრინციპები ხანდახან ჩიხში შედის და შვილთან გაუცხოებას გრძობენ. თუ მშობელი დროულად ახერხებს ძველი ქცევის ახალს, უფრო კონსტრუქციული და ეფექტური ქცევის შეცვლას, კრიზისის დაძლევა ადვილად და მალე ხდება. თუ იგი ძველი ფორმების შენარჩუნებას ცდილობს, ეს გარდაუვალ პრობლემას ქმნის ბავშვისთვისაც და თავად მშობლისთვისაც. ალბათ ხშირად გიოცნებიათ დამჯერ, თვინიერ, ადვილად აღსაზრდელ ბავშვზე, რომელთანაც არანაირი კრიზისული პერიოდები არ იგრძნობა. სამწუხაროდ, ასეთი დამყოლი ბავშვები მომავალში ინფანტილურ მოზრდილებად ყალიბდებიან, რომლებიც დამოუკიდებელ ცხოვრებას ვეღარ ახერხებენ. ეს კი, დავეთანხმებით, ყველაზე დიდი სასჯელია მშობლისთვის. ასე რომ, ნუ შეგშურდებათ ბავშვების, რომლებიც ყოველი ნაბიჯის გადადგმისთვის ნებართვას მშობლისგან იღებენ. ნორმალურ სიტუაციაში მშობელს ნებისმიერი სირთულის დაძლევა შეუძლია.



მიმდინარეობს ხელმოწერა

მასწავლებლის გიგლიოთეკა



პუბლიკაცია მოიცავს დაწყებითი კლასების მასწავლებლებისთვის საინტერესო საკითხებს. წიგნი მიმოიხილულია შემდეგი თემები: აღრული განათლების მნიშვნელობა გავსების შემდგომი განვითარებისთვის, სასკოლო გზისთვის ცნება და მასწავლებლის სტრატეგიები სკოლასთან ადაპტაციისთვის, სოციალურ-ემოციური სფეროს განვითარების ხელშეწყობა და კონკრეტული რეკომენდაციები, სწავლის მოტივაციის ამაღლების ხელშეწყობა, სასწავლო მიზნების ფორმულირება, კრიტიკული აზროვნების, მათემატიკური უნარების, მატყველების განვითარება და კონკრეტული რეკომენდაციები ზვირგვინების განვითარების უნარის სავითარებო ღონისძიებების განხორციელებისთვის, კითხვის მნიშვნელობა და კითხვის უნარის სავითარებო ღონისძიებების განხორციელებისთვის, სწავლის ხელშეწყობა და რეკომენდაციები მოქალაქეობისთვის, განმავითარებელი უფასოების საშუალებები, მსოფლიო-თან თანამშრომლობა, საკლასო ოთახის მოწყობის სავითარებო, კლასის მართვის სტრატეგიები.

ფასი - 7,30 ლარი



თამაზ ვასაძე ქართული აგიოგრაფიული პროზა ლიტერატურის შემსწავლელთათვის 4 ლარი

თემატური კლასიკები

დაწყებითი კლასებისთვის

(42X59.4 სმ)

- 1. წელიწადის დროები: შემოდგომა-ზამთარი
2. წელიწადის დროები: გაზაფხული-ზაფხული
3. ფერები
4. ბარეული ცხოველები
5. ბარეული ფრინველები
6. პრეფიქსები
7. შინაური ცხოველები და ფრინველები
8. პიგინის ნივთები
9. საოჯახო ნივთები
10. ტრანსპორტი
11. ზღვის ბინადრები
12. ტანსაცმელი
13. ხილი
14. გოსტეული
15. ჩემი სხეული
16. ფორმები
17. რიცხვები
18. რის შვილს რა ჰქვია
19. მწერები
20. ანიმლი
21. მცენარეები
22. საპირისპირო ცნებები
23. ქალაქი
24. სოფელი
25. სკოლის სახეობები
26. ზღაპრის გმირები
27. ჩემი საქართველო
28. ქართული ანბანი
29. ინგლისური ანბანი
30. რომელი საათია

ფასი - 2.90 ლარი

მალაქი კლასებისთვის

(59.4X84.1 სმ)

- 1. რელიგიების წარმოშობა
2. ბარეული ფრინველები საქართველოში
3. ბარეული ცხოველები საქართველოში
4. მწერები
5. ძველმეცნიერები საქართველოში
6. საქართველოს მცენარეები
7. სამხარისო წარმოშობა
8. ნიდაბი - სიცოცხლის წყარო
9. რეპტილიები და დინოზავრები
10. ზღვის დინეები
11. ძირითადი ელემენტების პერიოდული სისტემა
12. ქართველი მთარგმნეები და საბრძოლო ტექნიკა
13. მსოფლიოს შვიდი საოცრება

ფასი - 4 ლარი

მითითებულია ერთი ცალის ფასი



წიგნი I
კველი ქართული მწერლობა;
წიგნი II
„ვეფხისტყაოსანი“;
წიგნი III
XIX საუკუნის მწერლობა
წიგნი IV
XX საუკუნის მწერლობა

თამარ გელიტაშვილი, ამირან გომარტელი

მითითებული კრებულის ფასი - 12 ლარი



სავარჯიშო რვეული ქართულ მართლწერაში


10 ლარი

საყვანელი ენციკლოპედია

მითითებული ფასი - 12 ლარი

ავტომობილი
სამუსიკო
უდაბნო
გამოგონებები
განძის ძიება
გლადიატორები
დრო და კალენდარი
კველი ეგვიპტე
ევროპა

ვიკინებები
ფიზიკა
ახსნილი და აუხსნილი
ფანტაზიები
კომპიუტერი და ციფრული
უკველესი ადამიანები
მათემატიკა
კველი რომი
კველი საბავშვო



რა არის რა

კაცია

მთავრობა 10 ტომი

ენციკლოპედიის სერიის „რა არის რა“

საყვანელი ფასი.

მითითებული, 12 ტომის ნაცვად, 9 ტომი მიიღება.



ხელმოწერის თანხა გადმორიცხეთ რეკვიზიტებზე:
მიმღები - შპს „ახალი განათლება“,
ს/კ 202058735, ა/ა GE93LB0113314052305000,
ს/ს „ლიბერთი ბანკი“, ბ/კ LBRTGE22
ყურადღება: ფიზიკურმა პირებმა, თანხის გადმორიცხვისას, მითითებულ პირადი ნომერი

მსოფლიო კლასიკები

გვერდის სახლის ჩანაწერები,
თელორა დოსტოვესკი
ცოცხალი სკოლა, ანდრე ჟიდი
გზა ელიტისკენ, ჯონ ბრინი
რეპული მოთხრობები,
ნიკოლოზ გომოლი
ტალღები მოგზაური,
ალექსანდრე ბრინი
ტკობა,
გაბრიელა დანტეო
დედაჩემი, ალბერტ კოინი
პეპესია,
ალექსანდრე დიუმა
დონ კისტის დებრუნება,
გილბერტ კით ჩესტერტონი
დროის ინსტიტუტი,
ავიდე პეპე ტანტინარი
ფი ბრინი,
თელორა ფონტანე
ილინი ვინეტი,
პრესპერ მერიე
პეპესიური მოთხრობები,
ლევ ტოლსტოი
კვარტალი, გინ რიდი
ლეონი ჯიდი,
ჯოჯო კონრადი
გადამ გომბარი,
გუსტავ ფლოპიანი
სარსული წერილები,
ზარლ ლუი დე მონტესკიე

მოუთხრობა გულის,
შტეფან ცვაიგი
მოწყობილება,
ალბერტო მორავია
ორი რომანი,
გიგელ დელიგანი
პერიფერი მთხრობების
ტაბარი, ვიქტორ ჰიუგო
მოთხრობები,
ალექსანდრე პუშკინი
რეპული მოთხრობები,
ჯონ გოლდსთორტი
სატანის ელემენტები,
ერნესტ ჰემინგუი
სამხარული ჩრდილოეთ
ჩინეთიდან,
მაგარიტ დიურასი
ტალღა გეგენიერება,
ვილ ჯოლა
დამოუკიდებელი ბარტოლა,
რაფაელ საბათინი
მითელი და ზავი, სტენდალე
ტიელი საბავშვო,
სოფრესტ მოევი
ჯაგუნი, ჯიმი კუპერი
ლინტინებანი,
ვილჰელმ ჰაუფი
უშარი სახურავი,
ჟან ჟიროს

მწერალთა კორტრეტები

- (34X47 სმ)
1. მიხეილ ჯავახიშვილი
2. მიხეილ ლეონიძე
3. ირაკლი აბაშიძე
4. ნოდარ დუმბაძე
5. აკაკი წერეთელი
6. კონსტანტინე გამსახურდია
7. პოლო იაშვილი
8. სულხან-საბა ორბელიანი
9. პოლიკარპე აბაბაძე
10. გურამ რეპულიანი
11. დავით გურამიანი
12. გიორგი
13. რევაზ ინანიანი
14. თეიმურაზ I
15. ვახტანგ VI
16. მიხეილ მარგალიტი
17. გიორგი ორბელიანი
18. დავით აღმაშენებელი

4 ლარი

რეკვიზიტები

- 1. ჰორაციუსის ფიცი,
შპს-ლი დავიდი
2. მწერალთა თანხანაცობა,
დომენიკო გირლანდანი
3. ადელ ზღუზ-გაუპის
პორტრეტი, გუსტავ
კლიგტი
4. მინიანი,
დიეგო ველასკეტი
5. დელფინი სილია,
მიქელანჯელო
6. მხატვრის ბაღი,
კლოდ მონე
7. უკვლევი ფიცი
დებრუნება, რეპრანდტი
8. საბანა,
ოგიუსტ რენუარი
9. საკვირეო გასივრება
გრან შატის კუხრული,
ჟორჟ სიორა

6.5 ლარი

მითითებული ფასი - 15 ლარი

საქართველო საუბრადღობი!

ქართული ანბანი კრებული

სერიის ფასი - 17.70ლ



ერთდროულად დაუბეჭდეს თქვენთვის საჭიროდ ქართული ანბანი და სხვადასხვა სახის მასალები.



მედიამართ

საბავშვო გამომცემლობის

ქართული ანბანი და სხვადასხვა სახის მასალები თქვენთვის საჭიროდ დაუბეჭდეს თქვენთვის საჭიროდ ქართული ანბანი და სხვადასხვა სახის მასალები.

fb.com/bakursulakauripublishing

ნაძველი და მომდევნო წლები

საქართველოს „ნაძველი და მომდევნო წლები“ რედაქცია I-VI კლასების მასწავლებლების, „კითხვის საათის“ სახელმძღვანელო და მასალები.

სერიის ფასი - 30.40ლ



ერთდროულად დაუბეჭდეს თქვენთვის საჭიროდ ქართული ანბანი და სხვადასხვა სახის მასალები.

მედიამართ თქვენთვის საჭიროდ დაუბეჭდეს თქვენთვის საჭიროდ ქართული ანბანი და სხვადასხვა სახის მასალები.

სერიის ფასი - 9.90ლ



მასწავლებლის საფუძვლად

მასწავლებლის საფუძვლად ვორტფოლიოს განვითარების ნაწილია. რეპულის სტრუქტურა საფუძვლად აქვს მასწავლებელს:

- საჭიროებისამებრ შეავსოს გაკვეთილის დაგეგმვის სქემების მოქმედების სრული ვარიანტები;
- გააცნოს გაკვეთილის დაგეგმვის რეკომენდაციებს;
- გააცნოს გაკვეთილის მოქმედების და დეტალურად დაგეგმვის ნიმუშებს.

4 ლარი

კათედრის გაგების ვორტფოლიო

კათედრის გაგების ვორტფოლიო საფუძვლად აქვს კათედრის გაგების ალტერნატივა, გააუმჯობესოს, აღწეროს ეროვნული სასწავლებლის განვითარების სტრატეგია. შესავსებინ სქემების, ცხრილებისა და კათედრის სხვადასხვა ნაწილის გარდა, ვორტფოლიო შეიცავს მეთოდურ რეკომენდაციებს, რაც დაეხმარება კათედრის ხელმძღვანელს ვორტფოლიოს წარმოებაში და მისი სანაწარმოს განვითარებაში.

6 ლარი

მასწავლებლის კალენდარი

2015-2016 სასწავლო წლის კალენდარი ისეა შედგენილი, რომ მასწავლებელს მთელი სასწავლო წლის განვითარებაში შეუძლია დაგეგმოს და ჩინების მისთვის საჭირო და სასწავლო აქტივობები და ინფორმაციები. კალენდარი ყოველკვირულად აწვდის მასწავლებელს მისთვის მნიშვნელოვან პრაქტიკულ, პედაგოგიურ რჩევებს თუ საჭირო ინფორმაციას.

კალენდარს აქვს პირველი და მეორე სემესტრისთვის განკუთვნილი შესავსებელი გაკვეთილების ცხრილი, მნიშვნელოვანი აქტივობების რეგისტრირების და მართვის ფურცლები, რაც მოსახერხებელია, რათა მასწავლებელს ყველა საჭირო ინფორმაცია ერთად ჰქონდეს განთავსებული.

5,50 ლარი

შეკენის მსურველები დაგვიკავშირდით: 599880073, 0322958023